**სახელმწიფო შესყიდვების**
**სააგენტოს თავმჯდომარის**
# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080193799749819

№ 1700 28 / მარტი / 2019 წ.

## ააიპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრისთვის“ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

### აღწერილობითი ნაწილი

**1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 22 მარტს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით ააიპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრმა“ წარმოადგინა SMP190001642 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

**2. შესყიდვის ობიექტი**

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს ააიპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრის“ ქორეოგრაფიული ანსამბლისთვის („მთის შვილები") საცეკვაო კოსტუმების შესყიდვას (18400000 - სპეციალური ტანსაცმელი და აქსესუარები).

**3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება**

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ქორეოგრაფიული ანსამბლისთვის („მთის შვილები") საცეკვაო კოსტუმების შესყიდვის მიზნით, ააიპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრის“ მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი NAT190005168 დასრულდა უშედეგოდ. აპრილის თვეში ანსამბლი უნდა წარსდგეს სახალხო ანსამბლის წოდებაზე, რისთვისაც საჭიროა საკონცერტო კოსტუმები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების აღმოსაფხვრელად საჭირო საქონლის შესყიდვა.

**4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება**

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში არ გამოუხატავთ მოსაზრება.

### სამოტივაციო ნაწილი

**5. შემაჯამებელი დასკვნა**

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

**6. სააგენტოს შეფასება**

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც მომართვიდან ირკვევა, ქორეოგრაფიული ანსამბლისთვის („მთის შვილები") საცეკვაო კოსტუმების შესყიდვის მიზნით, ააიპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების,

კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრის“ მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი NAT190005168 დასრულდა უშედეგოდ. აპრილის თვეში ანსამბლი უნდა წარსდგეს სახალხო ანსამბლის წოდებაზე, რისთვისაც საჭიროა საკონცერტო კოსტუმები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების აღმოსაფხვრელად საჭირო საქონლის შესყიდვა.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია შესყიდვა განხორციელდეს შემჭიდროებულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამავდროულად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მიუთითებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რათა მან დამატებით შეისწავლოს ტენდერის უშედეგოდ დასრულების მიზეზები და განახორციელოს სათანადო ღონისძიებები შემდგომში ასეთი ფაქტების თავიდან აცილების მიზნით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, დროულად და კვალიფიციურად დაგეგმოს სახელმწიფო შესყიდვები, მისი ყოველდღიური საქმიანობისათვის საჭირო საქონლის, სამუშაოსა და მომსახურებების შეძენის მიზნით, იმისათვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული გამარტივებული შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო დამატებით მიუთითებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

**სარეზოლუციო ნაწილი**

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს ააიპ „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და სპორტის განვითარების ცენტრის“ SMP190001642 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე